საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ქალბატონო/ბატონო,

გაცნობებთ, რომ შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“-ს დაგეგმილი აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (გამარმარილოებული მოსაპირკეთებელი კირქვა) მოპოვება. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება მოხდება ღია კარიერული წესით. ობიექტიდან მოპოვებული წიაღისეული გამოყენებული იქნება სამშენებლო საქმიანობაში (სხვა სამშენებლო მასალა).

“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 2.1. ქვეპუნქტის მიხედვით: „2.1. ტორფის ან მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია“ ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 03 თებერვლის N22/721 წერილით გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, 890625 $მ^3$ „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 09 მარტის „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ N2-210 ბრძანებით დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. შესაბამისად, შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“ ვალდებულია საქმიანობის განხორციელებამდე გაიაროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სანებართვო პროცედურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“-მ 2021 წლის 26 აპრილის სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგინა სკოპინგის განცხადება.

T- 577-77-47-22 გიორგი

mail. giorgi.gabaidze91@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 9115
25.05.21
02

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა წარდგენილი განცხადება (N7474) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ქალბატონი ნინო თანდილაშვილის 2021 წლის 14 მაისის N4796/01 წერილით კომპანიას გამოეგზავნა დამატებითი შენიშვნები/საკითხები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას" კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების პროექტის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 14 მაისის N4796/01 წერილით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით განახლებულ სკოპინგის ანგარიშს.

დანართები:

1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას" კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია (CD დისკი 1 ცალი);

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) - CD დისკი 1 ცალი;

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე „ღორეშა"-ს გამარმარილოებული კირქვის გამოვლინების დამუშავების შემდეგ 178125 $მ^2$-ის ნაწილზე (133342 $მ^2$) მიწის ფართობის აღდგენა-რეკულტივაციის პროექტი - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია (CD დისკი 1 ცალი);

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარედ „ღორეშა"-ს გამარმარილოებული კირქვის გამოვლინების დამუშავების პროექტი (ლიცენზია N10001411) - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია (CD დისკი 1 ცალი).

პატივისცემით,

შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია"-ს დირექტორი

გიორგი გაბაიძე

LIMESTONE GEORGIA LTD 40027143